8507/3-6/22 2 14092022

8507/3-6/22
14-09-2022

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

მოგმართავთ საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

1. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს** ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების პროგრამა, რომელზეც 22.2 მლნ ლარი იყო გამოყოფილი მხოლოდ 38%-ით შესრულდა.

- გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ, კერძოდ, პროგრამის რა ნაწილი იქნა შესრულებული, რას მოიცავდა პროგრამა და რატომ ვერ მოხერხდა ბიუჯეტიდან გამოყოფლი თანხის სრულად ათვისება?

2.ასევე, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის თანახმად, ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების პროგრამაზე, რომელსაც სსიპ „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო“ ახორციელებს, 6 თვეში 761 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, თუმცა იგი მხოლოდ 21.8%-ით შესრულდა.

- გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, კერძოდ, ახალი ინვესტორის შესარჩევად ინტერესთა გამოხატვის პირობების შემუშავებისა და გამოცხადების პროცესის დაწყების მიზნით შემუშავებული დოკუმენტაცია. ასევე, ანაკლიის პორტის პოტენციური ტვირთბრუნვის შესწავლის მიზნით განხორციელებული კვლევა.
- რა მიზეზით ვერ განხორციელდა პროგრამის შესრულების მიზნით ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება?
- რა სამუშაოებია დაგეგმილი ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების პროგრამაზე ?

3. ეკონომიკისაა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში რამდენი შტატგარეშე თანამშრომელია დასაქმებული და რა თანხა არის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათ ანაზღაურებაზე?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან ბეჟაშვილი